

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა ასარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებს, თსუ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დებულების შესაბამისად, ღია კონკურსის საფუძველზე ირჩევს საკონკურსო კომისია და შედეგებს ამტკიცებს ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

2. არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლად შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლისთვის, ან მეცნიერი თანამშრომლისათვის დადგენილ მოთხოვნებს, რაც გათვალისწინებულია თსუ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 31 მაისის N63/2017 დადგენილებით მიღებული და წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 23 ივნისის N3 სხდომის ოქმით დამტკიცებული „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესი“-თ და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობების მე-2 მუხლის პირველი - მე-3 პუნქტებით და „საკონკურსო თანამდებობებისათვის განსაზღვრული კრიტერიუმები ინსტიტუტების და სამეცნიერო თანამდებობების მიხედვით“ მე-14 მუხლით.

თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად:

1. ქართველურ ენათა განყოფილება:

მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – 2 საშტატო ერთეული (უვადოდ)

მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული (10 წლის ვადით)

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – 7 საშტატო ერთეული

მეცნიერი თანამშრომელი – 7 საშტატო ერთეული

მეცნიერი თანამშრომელი – 0,5 საშტატო ერთეული (ერთი)

2. მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილება:

მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული (10 წლის ვადით)

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული

მეცნიერი თანამშრომელი – 7 საშტატო ერთეული

3. ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილება:

მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული (10 წლის ვადით)

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – 3 საშტატო ერთეული

მეცნიერი თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული

მეცნიერი თანამშრომელი – 0,5 საშტატო ერთეული (ერთი)

4. ლექსიკოლოგიის განყოფილება:

მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული (უვადოდ)

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – 5 საშტატო ერთეული

მეცნიერი თანამშრომელი – 10 საშტატო ერთეული

მეცნიერი თანამშრომელი – 0,5 საშტატო ერთეული (ხუთი)

5. თარგმნითი ლექსიკონებისა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილება:

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – 2 საშტატო ერთეული

მეცნიერი თანამშრომელი – 4 საშტატო ერთეული

მეცნიერი თანამშრომელი – 0,5 საშტატო ერთეული (ორი)

6. ქართული მეტყველების კულტურის განყოფილება:

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – 2 საშტატო ერთეული

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – 0,5 საშტატო ერთეული (ორი)

მეცნიერი თანამშრომელი – 1 სრული საშტატო ერთეული

მეცნიერი თანამშრომელი – 0,5 საშტატო ერთეული (ერთი)

7. ენობრივ მონაცემთა კომპიუტერული დამუშავების განყოფილება:

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – 2 საშტატო ერთეული

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – 0,5 საშტატო ერთეული (ორი)

მეცნიერი თანამშრომელი – 5 საშტატო ერთეული

კონკურსი ცხადდება 25 აგვისტოდან 25 სექტემბრამდე;

საბუთების წარმოდგენის ვადა – 26 სექტემბრიდან 9 ოქტომბრის ჩათვლით (10 საათიდან 17 საათამდე)

საბუთები მიიღება თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის კანცელარიაში, III სართული, ოთახი №306

მისამართი: ქ. თბილისი, პ. ინგოროყვას ქ. N8

სამეცნიერო თანამდებობაზე არჩევის პირობები:

1. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე უვადოდ შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება (რაც გულისხმობს არამხოლოდ სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო ან სხვა პროფილურ დაწესებულებაში სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობას, არამედ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებსაც), ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის არანაკლებ 4 რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის მიხედვით, ასევე მონაწილეობა უნდა ჰქონდეს მიღებული ეროვნულ ან/და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით 2 პროექტში მაინც ან გააჩნდეს 2 სტატია იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალში ან 2 სტატია, რომელიც ინდექსირებულია ERIH-ში.
2. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე 10 წლის ვადით შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება (რაც გულისხმობს არამხოლოდ სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო ან სხვა პროფილურ დაწესებულებაში სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობას, არამედ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებსაც), ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის არანაკლებ 3 რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის მიხედვით.
3. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე 7 წლის ვადით შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება (რაც გულისხმობს არამხოლოდ სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო ან სხვა პროფილურ დაწესებულებაში სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობას, არამედ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებსაც) და უნდა ჰქონდეს გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის არანაკლებ 2 რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის მიხედვით.
4. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე 4 წლის ვადით შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება (რაც გულისხმობს არამხოლოდ სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო ან სხვა პროფილურ დაწესებულებაში სამეცნიერო

თანამდებობაზე მუშაობას, არამედ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებსაც) და უნდა ჰქონდეს გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის არანაკლებ 1 რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის მიხედვით.

შენიშვნა: კონკურსის მიმდინარეობისას კონკურსანტთა შორის თანაბარი მონაცემების არსებობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება სამსახურებრივი შეთავსების არმქონე კონკურსანტს.

N	სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტის სახეობა
1	<ul style="list-style-type: none"> - მაღალ-რეიტინგული რეცენზირებული (საერთაშორისო რეცენზირების მქონე Peer-reviewed) სამეცნიერო მონოგრაფია უცხო ენაზე (მათ შორის ლექსიკოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი, ტექსტოლოგიური კვლევების ამსახველი მონოგრაფია), რომელიც ინდექსირებულია Scopus, SCImago Journal & Country Rank, ResearchGate-ის მიერ. - იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო სტატია, რომელიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science-ის მიერ. - სამეცნიერო სტატია გამოქვეყნებული ჟურნალში, რომელიც აღიარებულია ERIH-ის (European Reference Index of the Humanities) მიერ.
2	<ul style="list-style-type: none"> - სამეცნიერო სტატია, რომელიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science, Scopus, SCImago Journal & Country Rank, ResearchGate-ის მიერ. - სტატიები/თავები წიგნში, საკონფერენციო მასალებში ან კრებულში, რომლებიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science-ის ან Scopus-ის საკონფერენციო მასალების ციტირების ინდექსით. - ქართულენოვანი ან სხვა ენაზე შესრულებული, რეცენზირებული (რეცენზირების მქონე Peer-reviewed) მონოგრაფია (მათ შორის ლექსიკოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი, ტექსტოლოგიური კვლევების ამსახველი მონოგრაფია)*.
3	<ul style="list-style-type: none"> - რეცენზირებული (Peer-reviewed) სამეცნიერო სტატიები სხვა საერთაშორისო ჟურნალებში*, რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო, ასევე რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო კონტრიბუციისთვის. - სამეცნიერო სტატიები, რომლებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში. - ქართველოლოგიურ და სამართლის მეცნიერების დარგებში მოღვაწე აკადემიური პერსონალისთვის რეცენზირებული სამეცნიერო სტატიები გამოქვეყნებული ქართულ სამეცნიერო ჟურნალებში*, რომელთაც ჰყავთ ადგილობრივი სარედაქციო საბჭო და აქვთ ISSN კოდი. - სტატიები/თავები წიგნში, საკონფერენციო მასალებში ან კრებულში, რომლებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში.
4	<ul style="list-style-type: none"> - საკონფერენციო თეზისები, ინდექსირებული ტომსონ როიტერის Web of Science-ის ან Scopus-ის მიერ. - საკონფერენციო თეზისები, ინდექსირებული Google Scholar -ის მიერ.

საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება

1. კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია, საკონკურსო დოკუმენტაცია საკონკურსო განცხადებით განსაზღვრული პირობებისა და ვადების დაცვით წარუდგინოს შესაბამის საკონკურსო კომისიას.

2. კონკურსში მონაწილეობის მსურველი კონკურსში მონაწილეობისათვის ვალდებულია, საკონკურსო კომისიას წარუდგინოს განცხადება (დადგენილების დანართი N2) კონკურსში მონაწილეობის შესახებ (კონკურსში მონაწილეობის მსურველის მხრიდან დაუშვებელია წარდგენილი იქნას ერთზე მეტი განცხადება ერთზე მეტ საკონკურსო თანამდებობაზე).

4. კონკურსში მონაწილეობის მსურველი კონკურსში მონაწილეობისათვის ვალდებულია წარმოდგენილ განცხადებას (შ ე ი ვ ს ე ბ ა ა დ გ ი ლ ზ ე) დაურთოს:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (პასპორტი, პირადობის მოწმობა);

ბ) ავტობიოგრაფია (CV);

შენიშვნა: მიუთითეთ თქვენი ძირითადი სამუშაო ადგილი.

გ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომი) ასლი;

დ) სამეცნიერო საქმიანობის გამოცდილების ამსახველი ინფორმაცია (მათ შორის სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის ჩამონათვალი, თარიღების მითითებით და არსებობის შემთხვევაში სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობის შესახებ);

5. კონკურსში მონაწილეობის შესახებ ვადის დარღვევით (განცხადებების მიღების ვადის გასვლის შემდგომ) წარდგენილი განცხადება (დოკუმენტაცია) მიღებასა და რეგისტრაციას არ ექვემდებარება.

6. საკონკურსო კომისია ამოწმებს წარმოდგენილი დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობას. საკონკურსო დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში, კონკურსში მონაწილეობის მსურველს ეძლევა განაცხადის განმეორებით წარმოდგენის ვადა, მაგრამ არაუმეტეს საკონკურსო განცხადებით გათვალისწინებული საკონკურსო განცხადებების /დოკუმენტაციის/ მიღების ვადის ამოწურვიდან 5 სამუშაო დღისა.

7. კონკურსში მონაწილეობის მსურველის მიერ წინამდებარე მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში საკონკურსო განცხადება მიღებასა და რეგისტრაციას არ ექვემდებარება.

მისამართი: პ. ინგოროყვას ქ. 8,

ტელ.: 293 29 21, 2 99 99 41